ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5542301

ნომერი: AR1842966

თარიღი : 09.08.2021

გაცემის თარიღი : 10.08.2021

გაცნობის თარიღი : 10.08.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მარკ ბრონშტეინის I ჩიხი N6-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , გობრონიძის ქუჩის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , მიკრო/რაიონი II , გაზგასამართი სადგურის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზვიადი ჩაქსელიანი პ/ნ 27001001019
- ლენტეხი ს. ხელედი

ორგანიზაცია:
- შპს "333" კოდი: 406035936

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
23/01/2018 წლის № 3784566 ბრძანებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტიცდა 993 მ^2 ფართობზე. საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) საცხოვრებელი ზონა 1 (სზ) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი , საოფისე , კომერციული) მშენებლობის მიზნით.
ვინაიდან არსებული მდგომარეობით, დგინდება რომ შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობი, კონფიგურაცია, საკადასტრო კოდი და ფუნქციური ზონის გავრცელების არეალი, კერძოდ დღევანდელი მდგომარეობით ს.კ01.11.13.002.448 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)-ზე ნაკვეთის მცირე ნაწილზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2(სზ-2)
AR1842966 განცხადებით მოთხოვნილია 23/01/2018 წლის № 3784566 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა. კერძოდ: საპროექტო ნაკვეთის ს.კ N 01.11.13.002.448 და ფართობის 1444 კვ.მ-ის დაფიქსირება. განგიმარტავთ, რომ აღნიშნული მნიშვნელოვნად ცვლის მიღებული გადაწყვეტილების შინაარსს, შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურის მიერ მიღებული უნდა იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გათვალისწინებული იქნება, როგორც კონკრეტული მიწის ნაკვეთის განაშენიანების არეალი ასევე ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც დღეს მოქმედი კანონმდებლობით არის დამტკიცებული.
საჭიროა სამსახურს მომართოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის კუთხით.

სარეკომენდაციოდ გაცნობებთ: აღნიშნულ ზონაში დასაშვებია 25% -საცხოვრებელი ფუნქციის ათვისება. 25%-ზე მეტის შემთხვევაში საჭიროებს სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მიღებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს 09/08/2021 წლის AR1842966 განცხადებით მოთხოვნილი საკითხი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.